**ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ #73**
**საქონლის/მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა**

ქ. თბილისი აპრილი 2023წ.

**1. ხელშეკრულების დამდები მხარეები:**

**შემსყიდველი** _ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლის **სერგო ნინუას** სახით.
**მისამართი:** 0112, ქ. თბილისი, ალექსეევკა შანშიაშვილის ქ. #10. ს.კ. 202476819, ტელ. 577193872
**საბანკო რეკვიზიტები:** ანგ.#302009921 სახელმწიფო ხაზინა, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი TRESGE22.

**მიმწოდებელი:** **ი მ გიორგი კანდელაკი ვესტა**
**საიდენტიფიკაციო ნომერი:** 01009005243
**მისამართი:** საქართველო, ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1
**ტელეფონი:** +99532 96 19 31
**ხელმძღვანელი:** **გიორგი კანდელაკი**
**საბანკო რეკვიზიტები:** ს.ს. საქართველოს ბანკი BAGAGE22
ანგ.# GE75BG0000000888000801

**"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის *პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე***

**შევთანხმდით შემდეგზე:**

**2. ხელშეკრულების საგანი**
2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და დანართი #1-ის (საქონლის/მომსახურების დასახელება, მიწოდების პირობები, ვადები და ფასები) შესაბამისად მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი/მომსახურება CPV 22800000, 30100000, 30200000

**3. საქონლის/მომსახურების ღირებულება**
3.1. მისაწოდებელი საქონლის/მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს **241,40** (ორასორმოცდაერთი ლარი და 40 თეთრი) ლარს და მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის/მომსახურების მიწოდებასთან და შემსყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემასთან, მათ შორის, კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს.
3.2. საქონლის/მომსახურების ერთეულის ფასი და რაოდენობა განისაზღვრება დანართი #1-ით.

**4. ანგარიშსწორება**
4.1. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის/მომსახურების ღირებულება 10 სამუშაო დღის ვადაში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე.
4.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.
4.3. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

**5. საპატენტო უფლებები**
5.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

**6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**
6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლის *მიერ გამოყოფილი პირი:* **ვეფხვია როსტომაშვილი** შეკვეთის მიცემის, შესრულების ვადების, მიღება-ჩაბარების, სააღრიცხვო მონაცემებში ცვლილებების შეტანის, საქონლის ხარისხის კონტროლის და სხვა გაუთვალისწინებელ საკითხებზე.
6.2. კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმებით:
6.2.1. ხელშეკრულების და/ან შეკვეთის პირობებთან მოწოდებული საქონლის/მომსახურების ხარისხისა და რაოდენობის (მოცულობის) შესაბამისობის შემოწმება ვიზუალური (მათ შორის სპეციალისტის მიერ დათვალიერება), აზომვითი, ტექნიკური ან/და დოკუმენტური მეთოდით;

6.2.2. საქონლის/მომსახურების მიწოდების შეთანხმებული ვადების და რაოდენობის (მოცულობის) დაცვის მონიტორინგი;
6.2.3. `სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ~ დებულების 26-ე მუხლით განსაზღვრული კონტროლისა და ინსპექტირების ნებისმიერი მეთოდით.
6.3. კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, საქონლის/მომსახურების მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.
6.4. კონტროლის განხორციელების ადგილია: საქონლის/მომსახურების მიწოდების ადგილი და სხვა ნებისმიერი ადგილი შემსყიდველის არჩევანის მიხედვით.
6.5. კონტროლისა და ინსპექტირებისას მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს `სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ~ დებულების 26-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები.

**7. შეფუთვა**
7.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან შემსყიდველის მიერ მის მიღებამდე (მათ შორის, დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში).

**8. საქონლის/მომსახურების მიწოდების პირობები**
8.1. შესყიდული საქონლის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით;
8.2. მიმწოდებელი ვალდებულია, საქონლის/მომსახურების ან ყოველი პარტიის მიწოდებისას წარადგინოს კანონმდებლობით დადგენილი დოკუმენტაცია.

**9. ხარისხი**
9.1. საქონლის/მომსახურერბის ტექნიკური და ხარისხობრივი პარამეტრები განსაზღვრულია დანართი #1-ით და/ან წარმოდგენილი ნიმუშით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
9.2. საქონლის/მომსახურების ან ყოველი მისი პარტიის ტექნიკური მახასიათებლები და ხარისხი ერთდროულად უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულებისა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ტექნიკურ პირობებს და/ან წარმოდგენილი ნიმუშის (ნიმუშის წარდგენის ვალდებულების შემთხვევაში) პარამეტრებს.

**10. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**
10.1. მიმწოდებლის მიერ საქონლის გადაცემა და შემსყიდველის მიერ მისი მიღება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (შემსყიდველის მხრიდან 6.1.1. და 6.1.2. პუნქტებში მითითებული პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.
10.2. მიმწოდებლის მიერ მონტაჟის შესრულება დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების (შემსყიდველის მხრიდან 6.1.1. პუნქტებში მითითებული პირ(ებ)ის) მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით.
10.3. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება მიმწოდებლის მიერ საქონლის/მომსახურების შემსყიდველისათვის გადაცემის თარიღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემთხვევაში, საქონლის/მომსახურების მიწოდების თარიღად ჩაითვლება შემსყიდველის მიერ საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად გადაცემის თარიღი.
10.4. შემსყიდველი უფლებამოსილია, განაცხადოს უარი საქონლის/მომსახურების ან მისი ნაწილის მიღებაზე და მათ ანაზღაურებაზე, თუ:
10.4.1. იგი უხარისხოა (მათ შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის შეუსაბამო); ან/და
10.4.2. მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე მეტი ოდენობით (ნამეტის ფარგლებში); ან/და
10.4.3. მიწოდებულია ხელშეკრულებაში ან/და მოთხოვნაში (შეკვეთაში) მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები; ან/და
10.4.4. სრული მოცულობით არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია; ან/და
10.4.5. ხარვეზების გამოსწორება შეუძლებელია; ან/და
10.4.6. კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
10.5. მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე, ყველა ქონებრივი უფლება საქონლზე/მომსახურებაზე ეკუთვნის მიმწოდებელს და რისკები მისი შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან სხვა ზიანზე ეკისრება მიმწოდებელს, ხოლო, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის მომენტიდან, აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.
10.6. საქონლის/მომსახურების (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
10.7. მიმწოდებელი ვალდებულია, გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის) საქონელი/მომსახურება.

11. **გარანტია**

11.1. თუ მიწოდებული საქონლის/მომსახურების სრულფასოვანი ფუნქციონირებისას აღმოჩნდება ნაკლი, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან 5 კალენდარულ დღეში განიხილოს (დააკმაყოფილოს ან განაცხადოს მოტივირებული უარი) შემსყიდველის შეტყობინება და შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 10 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროს ნაკლი, შეცვალოს დეფექტური ნაწილი/საქონელი, ან დაუბრუნოს შემსყიდველს გადახდილი თანხა.

**12. უფლებების გადაცემა**

**12.1.** მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებითYგათვალისწინებული თავისი უფლება-მოვალეობანი.

**13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

**14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

14.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

14.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

14.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.5. ხელშეკრულებაში დამატებებების და/ან ცვლილებების შეტანის დოკუმენტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები (შემსყიდველის მხრიდან თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის უფროსი).

**15. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

15.1. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა:

15.1.1. საქონლის/მომსახურების მიუწოდებლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, უხარისხო, არასრული მოცულობით, საჭირო დოკუმენტაციის გარეშე) ხელშეკრულების ღირებულების 0,2% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

15.2. თუ მიმწოდებელს შემსყიდველისაგან მიღებული აქვს ავანსი და ეს ხელშეკრულება წყდება მიმწოდებლის ბრალით, მაშინ:

15.2.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 10 კალენდარული დღის ვადაში დაუბრუნოს შემსყიდველს ავანსი (მიღება-ჩაბარების აქტით გაფორმებული და შესრულებული ნაწილის გამოკლებით);

15.2.2. წინასწარი შეტყობინების გარეშე, 15.1 პუნქტით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დამატებით, დაეკისრება შემსყიდველისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ავანსად მიღებული და ავანსიდან შეუსრულებელი თანხის 3%-ის ოდენობით ავანსის მიღების დღიდან თანხის ფაქტობრივად დაბრუნებამდე ყოველ თვეზე (არასრული თვე დაანგარიშდება პროპორციულად, დღეების მიხედვით).

15.3. პირგასამტეხლოს დარიცხვის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია:

15.3.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეწყვიტოს ან შეინარჩუნოს ეს ხელშეკრულება;

15.3.2. მიღება-ჩაბარების აქტი გააფორმოს საქონლის/მომსახურების მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო საქონლის იმ ნაწილზე, რომელიც არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაარიცხოს პირგასამტეხლო 15.1.1. ქვეპუნქტის შესაბამისად;

15.4. შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების შეთანხმებულ ვადაში მიმწოდებლისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება მიმწოდებლისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0,2 %-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს გადაუხდელი თანხის 2 %-ისა.
15.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისას შემსყიდველი უფლებამოსილია, გამოიყენოს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია კანონმდებლობით განსაზღრული წესის შესაბამისად.
15.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.
15.7. საქონლის მიუწოდებლობისათვის დარიცხვადი პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

**16. ხელშეკრულების შეწყვეტა**

16.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:
ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;
ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც ამ მეორე მხარეს წერილობით მიეცა გაფრთხილება და ამ დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა არანაკლებ *10 სამუშაო დღის* ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
16.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:
ა) იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);
ბ) ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).
16.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**17. ფორს-მაჟორი**

17.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.
17.2. `ფორს-მაჟორის~ ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომლებიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომელთა თავიდან აცილება ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, ავარია, გაფიცვა, ეპიდემია, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირება და სხვა მსგავსი გარემოებანი.
17.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.
17.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.
17.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 1 თვეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

**18. სადაო საკითხების გადაწყვეტა**

18.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.
18.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

**19. გადასახადები და დაბეგვრა**

19.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

**20. შეტყობინება**

20.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ფორმით და იგზავნება საფოსტო

გზავნილის სახით ან მიეწოდება უშუალო ადგილსამყოფლის მიხედვით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.
20.2. შემსყიდველის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის ყოფილ მისამართზე, რომელიც მომწოდებელმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

**21. სხვა პირობები**
21.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერისას და მოქმედებს 2023 წლის 01 ივნისამდე.
21.2. ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
21.3. ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
21.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 ეგზემპლარად.

| | |
|---|---|
| **შემსყიდველის მხრიდან:** | **მიმწოდებლის მხრიდან:** |
| **ს. ნინუა** | **გიორგი კანდელაკი** |
| ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდალი | ინდივიდუალური მეწარმე |

George Kandelaki 01009005243
Digitally signed by George Kandelaki
Date: 2023.04.26 12:10:23

დანართი #1

2023 წლის აპრილის #73 ხელშეკრულებასთან

# ფასების ცხრილი

| # | პროდუქციის დასახელება | პროდუქციის მახასიათებლები | CPV კოდი | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ღირებულება (ლარი) | მიწოდების ადგილი | მიწოდების ვადები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | **2** | **3** | **4** | **5** | **6** | **7** | **8** | **9** | **10** |
| 1 | მაუსის დასადები 3691 | | 30237220 | ცალი | 14 | 6,00 | 84,00 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 2 | მარკერი პერმანენტული EU10020 Black, DELI | | 30192000 | ცალი | 4 | 0,60 | 2,40 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 3 | მარკერი პერმანენტული EU10030 Blue, DELI | | 30192000 | ცალი | 4 | 0,60 | 2,40 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 4 | მარკერი პერმანენტული EU10040 Red, DELI | | 30192000 | ცალი | 4 | 0,60 | 2,40 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 5 | მარკერი პერმანენტული EU10150 Green, DELI | | 30192000 | ცალი | 4 | 0,60 | 2,40 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 6 | სტეპლერი 24/6 0325 | | 30197320 | ცალი | 10 | 4,50 | 45,00 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 7 | კალამი მექანიკური კ15 2/308 | | 30192000 | ცალი | 30 | 1,20 | 36,00 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 8 | სკრეპი №3 4001/28 | | 30197220 | შეკვრა | 3 | 0,60 | 1,80 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 9 | ორგანაიზერი სამაგიდე ნაკრები 17 საგნიანი 382511 | | 30193100 | ცალი | 1 | 24,00 | 24,00 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 10 | კორექტორი კალამი EH10590 , DELI | | 30192930 | ცალი | 2 | 0,80 | 1,60 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | ტექსტ მარკერი S621/P DELI | | 30192000 | ცალი | 12 | 0,80 | 9,60 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 12 | კლიფსი მეტალის 41მმ შეკვრაში (12ცალი) 38562 | | 30197130 | შეკვრა | 1 | 3,30 | 3,30 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 13 | კლიფსი მეტალის 32მმ შეკვრაში (12ცალი) 38563 | | 30197130 | შეკვრა | 1 | 2,00 | 2,00 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 14 | მარკერი პერმანენტული ორმაგი წვერით CY 2002BK | | 30192000 | ცალი | 2 | 0,50 | 1,00 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 15 | ჭიკარტი ლურსმანი(35ცალი) 0021 Deli | | 30197120 | შეკვრა | 2 | 1,60 | 3,20 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 16 | გვერდის მოსანიშნი 44×12MM 20SHEETS 5 COLOR A11302, DELI | | 22816300 | ცალი | 5 | 1,90 | 9,50 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 17 | ჩასანიშნი წებოვანი 76x76მმ 400ფ T4-400/901258 | | 22816300 | ცალი | 3 | 3,00 | 9,00 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| 18 | სტეპლერის ტყვია პატარა N10 0010 | | 30197110 | შეკვრა | 4 | 0,45 | 1,80 | ქ. თბილისი, აღმაშენებლის 55/1 | 2023 წლის 01 მაისამდე |
| **სულ თანხა:** | | | | | | | **241,40** | | |

შენიშვნა: საქონლის ერთეულის ფასსა და საერთო ღირებულებას შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება საქონლის ერთეულის ფასს.

**შემსყიდველის მხრიდან:**

**ს. ნინუა**

ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდალი

**მიმწოდებლის მხრიდან:**

**გიორგი კანდელაკი**

ინდივიდუალური მეწარმე

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობა**

**ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ**

**ქ. თბილისი** **აპრილი 2023 წელი**

ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის (,,ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები’’) შესაბამისად ვადასტურებთ, რომ ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის მოსამსახურეები ქვემოაღნიშნულ მომწოდებელთან ინტერესთა კომფლიქტში არ ვიმყოფებით , რასაც ვადასტურებთ ხელისმოწერით :

მომწოდებელი: **ი/მ გიორგი კანდელაკი**

ხელშეკრულება №73

**შემსყიდველის მხრიდან:**

**ს. ნინუა**

ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდალი

**მიმწოდებლის მხრიდან:**

**გიორგი კანდელაკი**

ინდივიდუალური მეწარმე